ზეიმი საბჭოს ორდენოსან საქართველოში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 მაისი კვირა 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 112 (15022)

მეორე ორმოცდაათწლეული! ქართველი ხალხი, საქართველოს ყველა მშრომელნი მას იწყებენ, შემოქმედებითი ძალღონითა და ენერგიით, იმ მტკიცე რწმენით აღსავსენი, რომ თვითეული ახალი წელი იმ გზაზე, რომლითაც ჩვენი რესპუბლიკა მიდის მთელ ქვეყანასთან ერთად, მოუტანს მას ეკონომიკისა და კულტურის ახალ აყვავებას, ახალ წარმატებებს, ახალ გამარჯვებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

თბილისი. 1971 წლის 15 მაისი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია. სურათზე: ცენტრალური ტრიბუნაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგის და ბ. ვახტანგაძისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

დიდი ეროვნული დღესასწაულის — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილენი, ქართველი ერის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მოგმართავთ დიდი მადლობის სიტყვებით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომლებიც განუხრელად ზრუნავენ ჩვენი რესპუბლიკისათვის, მისი მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის.

საქართველოს მშრომელებმა უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ჩვენს საზეიმო სხდომაზე. ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, რომელიც ამიერიდან ბრწყინავს საბჭოთა საქართველოს დროშაზე ორ ლენინის ორდენთან ერთად, მოწმობს კომუნისტურ მშენებლობაში საქართველოს მშრომელთა წვლილის მაღალ შეფასებას.

საქართველოს გმირი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ აღმშენებლობის შრომას სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, კვლავაც ამრავლებენ სახალხო დოვლათს, განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის ძლიერებას, რომელიც მტკიცედ აშენებს კომუნიზმს.

ღირსშესანიშნავ დროში აღვნიშნავთ ჩვენს საბჭოლოვან იუბილეს. საქართველოს მშრომელები, აღფრთოვანებულნი სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, რომელმაც დასახა ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ახალი მიჯნები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უმაგალითო ენთუზიაზმით აჩაღებენ ბრძოლას პარტიის დიად წინასწარდახასულობათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

კომუნისტთა დიად ლენინურ პარტიასთან დაკავშირებულია ქართველი ხალხის საქმეები და გეგმები, მისი ბრძოლა მშობლიური მიწაწყლის ბედნიერებისა და აყვავებისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების თვენახევრის შემდეგ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს“ ვ. ი. ლენინმა დასახა სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანები და გამოთქვა იმედი, რომ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიული წყობილების დროს შეუძლებელი ეროვნული მშვიდობის ნიმუშს. დღეს შეგვიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ ლენინის ანდერძი წარმატებით განხორციელდა.

უძველეს წარსულში მრავალტანჯულ საქართველოს მიწა-წყალზე თავისუფლება და ბედნიერება მოიტანეს დიდმა ოქტომბერმა, კომუნისტთა პარტიამ, მისმა დამაარსებელმა და ბელადმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა. ხუთი საბჭოთა აოწლეულის მანძილზე საქართველომ მიაღწია ეკონომიური და კულტურული აყვავების უდიდეს მწვერვალებს, გახდა განვითარებული ინდუსტრიის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, მოწინავე სოციალისტური კულტურის რესპუბლიკა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით მოპოვებული საქართველოს მშრომელების თვალსაჩინო წარმატებანი ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ნაყოფია.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მთლიანი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა რესპუბლიკაში თითქმის 85-ჯერ გაიზარდა. ამჟამად საქართველო ხუთ დღეში უშვებს იმდენ სამრეწველო პროდუქციას, რამდენსაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აწარმოებდა მთელი წლის მანძილზე.

დღევანდელი ინდუსტრიული საქართველო — ეს არის მეტალურგია და ქიმია, ჩარხსაშენებელი და მანქანათსაშენებელი ქარხნები, საწარმოები, რომლებიც უშვებენ ელმავლებს, გამოსათვლელ მანქანებს, ავტომობილებს, თვითმფრინავებს, ტრაქტორებს, ელექტროტექნიკურ ნაწარმს, ზუსტ ხელსაწყოებს, ჩაის საკრეფ მანქანებს.

საქართველო ახალ მშენებლობათა ხარაჩოებშია. მდინარე ენგურზე შენდება ენერგეტიკის გიგანტი, რომლის პირველი აგრეგატები უკვე ჩადგნენ მწყობრში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ესწრაფვიან რა უფრო სწრაფად და უკეთ განახორციელონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, რესპუბლიკის მრეწველობისა და მშენებლობების მუშაკები აფართოებენ ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის ბრძოლის ფრონტს.

ხის კვიდან და თიხიდან მძლავრ თანამედროვე ტექნიკამდე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მეცნიერულ საფუძვლებამდე — აი გზა, რომელიც განვლო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ. იგი ქვეყანას აძლევს ჩაის, ყურძენს, ციტრუსებს, ხილს, თამბაქოს, ტუნგს, ეთერზეთოვან კულტურებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა პროდუქტებს. სუბტროპიკული მეურნეობის შექმნისათვის ბრძოლაში ყველაზე უფრო სრულად გამოვლინდა ქართველი კოლმეურნე გლეხების მძლავრი შემოქმედებითი ძალები. აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი,

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საბჭოთა საქართველოს ძლევამოსილი წინსვლა

ნახევარი საუკუნის მწვერვალიდან განსაკუთრებით ნათლად მოჩანს საბჭოთა საქართველოს მიერ გამოვლილი გმირული გზა. სოციალიზმის ცხოველმყოფელი სხივებით, ლენინური იდეების განხორციელების მეოხებით აყვავდა და განმტკიცდა, კიდევ უფრო გაძლიერდა ქართული მიწა.

გოლიათური მხრები რომ გაშალა, ქართველმა ხალხმა, დიდ რუს ხალხთან ხელიხელჩაკიდებულმა, ერთსულოვან საბჭოთა ოჯახში, საქართველოს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის ერთიერთი უძველესი მებრძოლი რაზმის — ხელმძღვანელობით მოახდინა საოცრება, გადააქცია თავიანთ მხარე მაღალგანვითარებული მრეწველობის, მრავალდარგოვანი და მექანიზებული სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურისა და მეცნიერების აყვავებულ რესპუბლიკად.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაული მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების ნიშნით.

ჩვენი ხალხის დიადი მიღწევების გამო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით, მომავალ წარმატებათა რწმენით შეიკრიბნენ 15 მაისს საქართველოს დედაქალაქის მშრომელები სამხედრო პარადსა და სადღესასწაულო დემონსტრაციაზე.

არასოდეს არ ყოფილა ასე მორთულ-მოკაზმული და ზეიმური თბილისი. თვალს ახარებს ახლად ამშენებული გარემო, ალისფერი დროშების ტყე და ამ დღის მთელი მრავალფეროვნება. შენობათა ფასადებზე მოჩანს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები.

პანოები და პლაკატები დიდებით მოსავენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — ჩვენი გამარჯვებების ხელისმომგმელსა და ორგანიზატორს.

სამხედრო პარადი და სადღესასწაულო დემონსტრაცია თბილისში

მგზნებარე მოწოდებანი მოუხმობენ მშრომელებს მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

რუსთაველის პროსპექტი აიავსო თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებით, რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრებით.

მთავრობის სახლის ფასადზე საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის უზარმაზარი აფრული ამრეშუმის ქსოვილია. მასზე გამოსახულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უკვდავი სახე.

კიდევ რამდენიმე წუთი, და საბჭოთა საქართველოს დღესასწაული დაიწყების საზეიმო სვლას. ამ სვლას გვიჩვენებენ ტელევიზორის ეკრანები, რადიო მოჰფენს მთზეიმე ხმებს მთელ თვალუწვდენელ საბჭოთა მიწა-წყალს. მაგრამ ყველაზე თვალნათლივ ეს დიდი, ნათელი სასისარულო დღესასწაული მოჩანს ეკრანიდან, ტრიბუნებიდან, რომლებზეც შეერებილან რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის ვეტერანები და ოფიცრები.

დილის 10 საათია. ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, პ. ვ. შელესტი, პ. მ. მაშეროვი, ფ. ა. ტიონინი, ფ. ა. ალიევი, ნ. ა. ბაბაევი, ა. ნ. ჩურკინი, ნ. შ. ცხადაია, ზ. ი. ჭანუყვაძე, ა. ნ. ინაური, შ. დ. კოკნაძე, ნ. ა. ბოგიანი, ლ. ი. ბოდიული, ლ. ტ. ინსაროვი, ა. ა. ბერეზინი, ა. ნ. ბოლოვინ, ბ. ა. ბოლოტნიკოვი, ა. ა. ბოლოტინ, ა. ა. ბ. ბ. ბ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

(დასასრული)

ქართველმა მეჩაიეებმა აიღეს კურსი, რომ 1975 წელს ქვეყანას მისცენ 800 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო შემდეგ 400 ათას ტონამდე გაადიდონ ჩაის მოსავალი.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით, საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, კვების პროდუქტების სიუხვისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უმაგალითოდ გაიფურჩქნა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურა. საქართველოს უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა 50 წლის განძილზე მოამზადეს ახითასობით სპეციალისტი სახალხო მეურნეობის უველა დარგისათვის. რესპუბლიკაში მუშაობს მეცნიერებათა აკადემია, 200-მდე სხვა სამეცნიერო დაწესებულება, რომლებიც აერთიანებენ 19 ათასზე მეტ მეცნიერ მუშაკს. ქართველ მწერლებს, კომპოზიტორებს, სახვითი ხელოვნების ოსტატებს, სცენისა და კინოს მოღვაწეებს, ჟურნალისტებს, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ ახალი საზოგადოების ადამიანის აღზრდაში.

საბჭოთა საქართველოში ცხოვრობენ და შრომობენ მრავალი ეროვნების ადამიანები, ყველას ძმურ ოჯახში აერთიანებს დიდი საერთო მიზანი, ბრძოლასა და შრომაში გამოწრთობილი ურღვევი მეგობრობა.

ჩვენ გამარჯვებათა გზით მიგვიძღვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი, ყველა ჩვენს აზრსა და საქმეში, ყველა წარმატებასა და მიღწევაში ჩანს ჩვენი დიადი პარტიის მკაფიო, შორსმჭვრეტელი აზრი, სიბრძნე, მტკიცე წარმმართველი ხელი.

საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმი— მთელი თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შეუპოვრად და თავდადებით იბრძოდა მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისათვის, პარტიის გენერალური ხაზისათვის. განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებს, იგი რესპუბლიკას მიუძღვის ახალი წარმატებების გზით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ვიწყებთ რა საბჭოთა საქართველოს მეორე ორმოცდაათწლეულს, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ლენინის უძლეველი დროშის ერთგული ქართველი ერი ღირსეულად შეასრულებს წინასწარდასახულობებს მშობლიური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, რომელიც მიგვიძღვის კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ!

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა საქართველო — თანასწორთა შორის თანასწორი საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ბურჯს, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის უძლეველ ბურჯს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელსა და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ შტაბს — მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

სურათზე: დემონსტრაციის მონაწილეებმა ტრიბუნას ჩაუარეს... ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საბჭოთა საქართველოს ძლევამოსილი წინსვლა

(დასასრული)

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახორციელებენ რა მის ბრძნულ ეროვნულ პოლიტიკას, საქართველოს მშრომელებმა ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვანი გზა განვლეს, მოამდინეს გრანდიოზული სოციალისტური გარდაქმნები, ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში.

დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში ქართველმა ხალხმა გამოიჩინა უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი. მისი ათასობით შვილი იარაღით ხელში ვაჟკაცურად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ.

რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით, ძალების დაუზოგავად შრომობდნენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჭიდდნენ მტერზე გამარჯვებას.

რესპუბლიკის მშრომელების ერთგული, ნაცადი ავანგარდია საქართველოს კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი. თავისი ნახევარი საუკუნის ისტორიის ყველა ეტაპზე იგი იყო და არის მასების აქტიური ორგანიზატორი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში, ზრდის მათ სამშობლოს ერთგულების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

50 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველომ დიდი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ეს მიღწევები მკაფიოდ ადასტურებენ სოციალისტური წყობილების გამარჯვებას, საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმობასა და მეგობრობას.

ამმ. კურკოტკინმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელები ნათელ დღესასწაულს ეგებებიან უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, მჭიდროდ შეკავშირებულნი მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის მეთხებით ჩვენს შეიარაღებულ ძალებს აქვთ ყველაზე სრულყოფილი იარაღი და საბრძოლო ტექნიკა, რომელიც საბჭოთა მეომრების სიმამაცით ხელშია.

ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოთა ოფიცრების კოლონა. კოლონას მეთაურობს დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოსათვის ბრძოლებში სახელმოხვეჭილი გენერალ-მაიორი დ. გ. შკრუდნევი. მის მკერდზე კიაფობს მთავრობის 15 ჯილდო. ეს ჯილდოები მას მიენიჭა სტალინგრადის დაცვის, ბელორუსიის განთავისუფლების, აღმოსავლეთ პრუსიაში გამართულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის.

წინ მოაქვთ ოლქის წმიდათაწმიდა საბრძოლო დროშა, რომელზეც მიბნეულია წითელი დროშის ორდენი. დროშა მოაქვს დიდი სამამულო ომის ვეტერანს პოლკოვნიკ მ. ტ. პავლოვს. დიდი ბრძოლების გმირებთან ერთად მოაბიჯებენ ახალგაზრდა ოფიცრები— კაპიტანები ჯაფარიძე, ოხოდოსკი, უფროსი ლეიტენანტი ტატარენკო და სხვები. საპარადო მუნდირებზე კიაფობენ ორდენები და მედლები — ომის წლებში საბრძოლო გმირობის სიმბოლოები.

მოდიან ავიატორები, ზეგბერითი სიჩქარეებისა და თვალი ცის ოსტატები. მათ მწკრივებში ვხედავთ პირველი კლასის მფრინავებს კაპიტნებს ვიქტოროვს, პრივალოვსა და სხვებს. საპარადო მარშს იწყებს საბჭოთა ოფიცრების კორპუსის მომავალი თაობა — თბილისის ზეციელდროშოვანი 26 ბაქოელი კომისრის სახელობის არტილერისტ მეთაურთა უმაღლესი სასწავლებლის კურსანტები. მარშან ქვეყნის ამ უძველესსა სამხედრო სასწავლებელმა აღნიშნა თავისი ორმოცდამეათე წლისთავი. სასწავლებელი დაამთავრა 27 თვალსაჩინო მხედართმთავარმა, სასწავლებლის 35 აღზრდილი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

გაისმის მარშის ხმები. მოდიან ვენის წითელდროშოვანი მოტომსროლელთა სუვოროვის პოლკის სასწავლო მზადებაში, მხედრული დისციპლინის განმტკიცებაში, ჯარების სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

დასასრულ ამბ. კურკოტკინმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტურ პარტიას, გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს.

პროსპექტზე გაისმის მძლავრი ვაშა. სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ჰიმნები. ზედიზედ ქუხს საარტილერიო სალუტის ზალპები. და აი უკვე გაისმის ბრძანება:

საზეიმო მარშისათვის...

ჯარები მმოძრავდნენ. მეომრები მაღლა სწევენ საბრძოლო დროშებს. მედროშეთა ასისტენტებმა ხმლები იშიშვლეს, სწრაფი ნაბიჯით გაემართნენ თავიანთი ადგილებისაკენ მესაზეები. კარაბინების ხიშტებზე ფრიალებენ ალმები.

ტრიბუნების წინ პირველმა ჩაიარა მედოლეთა ანსამბლმა. მწყობრი ნაბიჯით უახლოვდება ტრიბუნას ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ლენინის ს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

ამხ. ი. ი. ბოდიულის სიტყვა

მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ამჟამინდელ დღეებს განიცდის ქართველი ხალხი, იგი საზეიმოდ აღნიშნავს თავისი ერთგული აღორძინების ღირსშესანიშნავ თარიღს.

ნახევარი საუკუნე ავიდა მას შემდეგ, რაც დიდი ოქტომბრის კავშირმა ალმა მიაღწია უძველეს საქართველოშიდე და გაანათა იგი თავისუფლების მზით. ხალხის შრომით, მისი დიდი და ფართო ნიჭით გაახალგაზრდავებულ ქართულ მიწაზე მოსულ დღესასწაულს იგი ადამიანის ნამდვილი ბედნიერების აყვავებულ ბაღად გადაუქცევია.

დღეს არის ზეიმი თანასწორთა შორის თანასწორი, თავისუფალთა შორის თავისუფალი რესპუბლიკის შემოქმედების, კაცობრიობისა და კრანდიოზული გამარჯვებებისა, რესპუბლიკისა, რომელიც წარმატებით ასრულებს ხორცს ჩასდადი ლენინის იდეებს.

სკკპ XXIV ყრილობის შუქით გაცისკროვნებული ზეიმი საქართველოში თავისი განუმეორებელი სილამაზით თითქოს ერწყმის გაზაფხულის ყვავილობის მშვენიერ ხანას, ასახავს ხალხის ცხაყოფილებას, მის სიამაყეს იმის გამო, რომ იგი თანამონაწილეა კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის საერთო ბრძოლისა.

თქვენს საზეიმო განწყობილებას იზიარებს ყველა მოძმე ხალხი.

და საკვირველი არ არის, რომ ამ დღეს ეიფლოდან ეიფლებთან და სიმღერებთან ერთად განსაკუთრებული ხალისით ეღერს მოლდაველი დიენბი, რომელთა მელოდია ერწყმის მზეზეიმე საქართველოს ქორს.

მოლდავეთის დელეგაციია მადლობელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობისა იუბილეზე მოწვევისათვის.

დიდად მადლობელი ვართ მასპინძლობისათვის, გულწრფელი მეგობრობისა და ძმობის ერძნობისათვის, რომლებსაც მოლდაველი ხალხის მიმართ იჩენთ. შესანიშნავია, განუმეორებელი სილამაზის თბილისმი, რომელმაც თავისი ალეფსიანი სხივებით გაანათობო, მოლდავეთის საუკუნოვანი კოდრებიდან ზამოვიტანეთ მოლდავეთის მშრომელთა გულითადი სალამი და მოფიცვები, მათი კეთილი სურვილები ქართველი ძმებისა და დებისადმი, რომლებსაც უსურვებენ ახალ წარმატებებს კომუნიზმის აშენებაში.

დაე ბედნიერება და სიმშვიდე დამკვიდრდეს სამუდამოდ საბჭოთა საქართველოს თვითეულ სახლში, თვითეულ ოჯახში!

ყველას ძალიან გვსიამოვნებს სულითა და გულით მოგილოცოთ საქართველოს მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას რესპუბლიკის დაჯილდოება ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, რომელიც დღეს საზეიმო ვითარებაში გადმოგცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

ეს ჯილდო ღირსეულად აგვირგვინებს ქართველი ხალხის შრომითს და საბრძოლო გვირობას, რომლის პატრიოტიზმი და მამაცობა, ნიჭი და რაინდობა, ერთგული მეგობრობა და შრომისმოყვარეობა ხიბლავს ყველა საბჭოთა ადამიანს.

საქართველოსა და მოლდავეთს უდიდესი მანძილი აშორებს.

დიდია ეს მანძილი სხვა რესპუბლიკებს შორისაც, მაგრამ სსრ კავშირის ხალხთა ისტორიული ბედი ერთმანეთს წაადგა იმ საზღვრის ორივე მხრიდან, რომელიც რევოლუციურმა ოქტომბერმა შექმნა. საქართველოცა და მოლდავეთიც წარსულში არაერთგზის დაუღაბჭრათ დამპყრობლებს. როგორც საქართველოში, ისე მოლდავეთში, რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ნებაყოფლობითი შესვლის მეოხებით, მოხდა ღრმა სოციალურ-ეკონომიური პროცესები, რომლებმაც ხელსაყრელი ნიადაგი მოუმზადეს რევოლუციურ მისწრაფებათა მოძმეობას. ქართველმა, მოლდაველმა და მეფის ყოფილი ვანაპირა მხარეების სხვა ხალხებმა, რომლებმაც სამუდამოდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი დიდ რუს ხალხს, მისი სახით ჰპოვეს ერთგული ძმა და, რუსეთის პროლეტარიატის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულმა, ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს თვითმპყრობელობა, დაიცვეს საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვარნი და ააშენეს სოციალიზმი.

50 თავისუფალი წლის მანძილზე საქართველო საბჭოების რესპუბლიკათა თანავარსკვლავედის მშვენიერი მარგალიტი გახდა.

იგი ასევეა აქცია სოციალისტურმა წყობილებამ, ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, ჩვენმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ, რომლის მებრძოლი რაზმია საქართველოს კომპარტია და რომელმაც ქვეყანას მისცა თვალსაჩინო რევოლუციონერთა, პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შესანიშნავი პლეადა.

რუსეთში რევოლუციური მოძრაობის აღორძინების პერიოდში ლენინის დროშის ქვეშ შექმნილმა საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ ღირსეულად ატარა თავისუფლების დროშა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, საპოლიტიკო და სამამულო ომების, შრომისა და გამარჯვებების ქარცეცხლიან წლებში.

ბრძოლაში ურყევი ვაჟკაცობითა და თავდადებით, ხალხთა ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის პრინციპებისადმი ერთგულებით, მშრომელთა ინტერესებისადმი ერთგული სამსახურით საქართველოს კომპარტიამ საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

ახლა, როცა ჩვენი დიდი სამშობლო დგას კომუნისტური მშენებლობის ახალი ეტაპის მიჯნაზე, ქართველი ხალხი, ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი მოაგონებითა და აღმავლობით შრომობს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომპარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებას, რომ კი არ შევანელოთ, არამედ პირიქით, გავზარდოთ განვითარების ტემპები, ავამაღლოთ ხალხის აქტივობა ყრილობის დირექტივების განხორციელებისათვის ბრძოლაში, მოლდაველი ხალხი აღიქვამს როგორც თავის ვალს, როგორც თავის უპირველეს მოვალეობას და დამკვრელურად მუშაობს. მან დასახა კეთილშობილური მიზანი — ვადამდე შესრულოს მრეწველობისა და კაპიტალური მშენებლობის ყველა დარგის ხუთწლედის პირველი წლის გეგმა, გადაჭარბებით შესასრულოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დავალებანი და ქვეყანას მისცეს 2 მილიარდზე მეტი მანეთის პროდუქცია.

მიმდინარე წლს სახელმწიფოს მიეყიდით 620 ათას ტონა მარცვლეულს, 100 ათას ტონა თამბაქოს ნედლეულს, მილიონ ტონა ყურძენს, დაახლოებით მილიონ ორასი ათას ტონა ხილსა და ბოსტნეულს, 3 მილიონ ტონაზე მეტ ტექნიკურ კულტურებს, თითქმის 700 ათას ტონა მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქციას.

პატივცემულო ამხანაგებო!

ქართველები ვაზს ოდითვე კურთხეულს უწოდებდნენ, სიმღერებს ქმნიან მასზე, იგი მხატვრული ორნამენტის საფუძვლად გადაქცეულ.

ვაზს თაყვანს სცემენ მოლდაველებიც. ჩვენი ხალხისათვის ყურძნის მტევანი ყოველთვის იყო სიცოცხლისა და ბედნიერების წყარო.

ადამიანებს რომ დედამიწის ცხოველმყოფელი წვენი მიაწოდონ, ვაზის ფესვები ღრმად გადგმულია მიწაში და ერთმანეთთან გადახლართულია. ასევე ღრმა და მტკიცეა ათასი რგოლებით გადაჯაჭვული მოლდაველი, ქართველი, ყველა საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობა, რომლებიც რევოლუციურ ბრძოლაში მოპოვებული თვითგამორკვევის უფლებით მეკვიდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიად კავშირში, რომლის ნახევარსაუკუნოვან იუბილესაც გაისად აღნიშნავს მთელი ქვეყანა.

საბჭოთა ადამიანებისათვის უსაზღვროდ ძვირფასია კავშირით შედუდამებული რევოლუციური ბრძოლის ქარცეცხლში შობილი მეგობრობა, რომელიც წმიდაა, ვით მთის ჰაერი, მტკიცეა, ვითარცა გრანიტი, და დიდებულია, ვითარცა კომუნიზმის იდეალები. დაე საუკუნოდ ცოცხლობდეს და ჰყვაოდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიადი მონაპოვარი!

გაუმარჯოს და ჰყვაოდეს სამგზის ორდენოსანი საქართველოს სსრ რესპუბლიკა!

გაუმარჯოს ქართველ ხალხს და მის მებრძოლ ავანგარდს — საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

დიდება მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

(ამხ. ი. ი. ბოდიულის სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ტაში)

ამხ. ჯ. უსუბალიევის სიტყვა

ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, ყირგიზი ხალხისა და ყირგიზეთის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ, ამ საზეიმო სხდომის მონაწილეებს, და თქვენი სახით მოძმე ქართველ ხალხს და რესპუბლიკის ყველა მშრომელთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის — ჩვენი ლენინური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის სახელოვანი 50 წლისთავი.

დიდ მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია მოიწვიეთ თქვენს დიდ სახიხარულო ზეიმზე, იმ გულითადობისათვის, რომელსაც გვიწევთ აქ, ყირგიზეთის წარმომადგენლებს. ეს მიგვანიშნა ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებად.

ჩვენს რესპუბლიკებს შორის ამჟამად მტკიცე ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობაა. ჩვენ ერთმანეთს ვეუსაბრებთ გამოცდილებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

ეს მზარდი ყოვლმხრივი ძმური ურთიერთობა ბევრ რამეში უწყობს ხელს სამეურნეო ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ჩვენი ხალხის აღზრდას.

მტკიცე და უანგარო მეგობრობის ამ შესანიშნავ ტრადიციებს წმიდად დავიცავთ, გავამდიდრებთ და განვავითარებთ.

ამხანაგებო!

თქვენი რესპუბლიკისა და პარტიის იუბილეს ვზეიმობთ ღირსშესანიშნავ დროს, როცა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით შრომობს საბჭოთის ეკონომიური ძლიერების და პოლიტიკური ავტორიტეტის შემდგომი ზრდისათვის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ლატვიის მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის სახელით ვუსურვებთ მომმე ქართველ ხალხს ახალ წარმატებებს ლენინური პარტიის ისტორიული XXIV ყრილობის მიერ ჩვენი საზოგადოების წინაშე დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტაში, დიდ ბედნიერებასა და აყვავებას საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში.

გაუმარჯოს ლენინურ, მარცხ და შრომისმოყვარე ქართველ ხალხს და მის მებრძოლ ლენინურ-სტალინურ საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

[illegible] ურღვევი ძმური მეგობრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

(ამხ. ჯ. ჯ. უსუბალიევის სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ტაში).

ამხ. ა. ე. ვოსის სიტყვა

ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ძვირფასო ქართველო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დავალებით, საბჭოთა ლატვიის ყველა მშრომელთა სახელით მხურვალედ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით მთელ მოძმე ქართველ ხალხს ათიოდ წლის ნათელი და სასიხარულო დღესასწაული — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი.

დიდი ინტერესითა და ყურადღებით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ბრწყინვალე და შინაარსიანი სიტყვა, რომელშიც დიდად არის შეფასებული საბჭოთა საქართველოს მიღწევები ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, მოცემულია პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის კონკრეტული პროგრამა.

იუბილარი რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად დიდი სიხარული და სიამაყე განვიცადეთ ჩვენი მეგობრებისათვის, როცა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა საქართველოს სს რესპუბლიკის დროშას მიაბნია ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

სულით და გულით გილოცავთ მთავრობის ამ მაღალ ჯილდოს.

საბჭოთა ლატვიის კომუნისტებს, მშრომელებს გულწრფელად ახარებთ მომმე ქართველი ხალხის ახალ-ახალი წარმატებანი, მისი სულ უფრო მზარდი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

ჩვენს რესპუბლიკებს ათასობით კილომეტრი აშორებს. სხვადასხვანაირია ჩვენი ხალხების ტრადიციული და ისტორიული ბედი წარსულში. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ერთობლივმა ბრძოლამ, საერთო მიზნებმა და ამოცანებმა ჩვენი ხალხები შეაკავშირეს საბჭოების დიადი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთიან და ურღვევ ძმურ კავშირში.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ბევრი ლატვიელი ბოლშევიკი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში რევოლუციურ მოძრაობასა და სოციალიზმის მშენებლობაში, რომ ბევრი ლატვიელი წითელი მსრბოლელი მამაცურად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში.

თავის მხრივ, საქართველოს ბევრმა შვილმა ჩაიდინა უკვდავი გმირობა, როცა ყველა საბჭოთა ხალხის წარმომადგენელ მეომრებთან მხარდამხარ იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და ათავისუფლებდა საბჭოთა ლატვიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან საბჭოთა ლატვიის დაცვისას გამოჩენილი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ ქართველი ხალხის ერთგულ შვილებს კომუნისტს უფროს ლეიტენანტს აბიბო შიშინაშვილსა და კომკავშირელს სერჟანტს შოთა როსტიაშვილს.

ლატვიელი ხალხი წმიდად ინახავს ამ თავდადებული ადამიანების საბრძოლო გმირობას.

აბიბო შიშინაშვილი მამაცურად დაიღუპა ლატვიის მიწაწყალზე. რესპუბლიკის მშრომელები პატივს სცემენ მის ნათელ სსოვნას, მშობლიური სიყვარულით უვლიან გმირის საფლავს, ამკობენ მას ყვავილებით. ოქტომბრის პეროიდში, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში გმირთა სისხლით შედუღაბებული ძმური მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის კიდევ უფრო ყოველმხრივ განვითარდა თანამედროვე პირობებში.

ამხ. ა. ე. ქოჩინიანის სიტყვა

სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, საბჭოთა სომხეთის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მოვილოცოთ ქართველ ხალხს, მომმე საქართველოს ყველა მშრომელს შესანიშნავი დღესასწაული — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ნახევარი საუკუნის იუბილე.

ქართველი ხალხის სახელოვანი დღესასწაული აღინიშნება მთელი საბჭოთა ხალხის იმ ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ღირსსახსოვარ დღეებში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, რომლებიც ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, შეკავშირებული არიან მშობლიური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პატრიოტული საქმეებით უპასუხებს პარტიის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, რაც მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

მოხსენებაში XXIV ყრილობაზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა თქვა: „სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი ის არის, რომ პარტია პრაქტიკულად ახორციელებს ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას — ხალხთა თანასწორობისა და მეგობრობის პოლიტიკას“.

ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელი ძალის ბრწყინვალე დადასტურებაა მომმე საქართველოს — დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი აყვავებული რესპუბლიკის მაგალითი.

ქართველმა ხალხმა ძნელი ისტორიული გზა გამოიარა, საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა უცხოელ და საკუთარ დამმონებელთა ორმაგ ჩაგვრას, გმირულად იბრძოდა თავისუფლებისათვის.

მან მკაფიო და თავისთავადი კულტურა შექმნა.

ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით, რომელმაც სოციალისტური აღორძინება მოუტანა ქართველ ხალხს.

დიდია შრომისმოყვარე და ნიჭიერი ქართველი ხალხის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებული წარმატებანი.

დღეს საბჭოთა საქართველო მაღალგანვითარებული ინდუსტრიული რესპუბლიკაა. საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია საქვეყნოდ არის განთქმული.

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა გმირული ნახევარსაუკუნოვანი გზა მთავრობის მაღალი ჯილდოთი აღინიშნა.

ნება მიბოძეთ სულით და გულით მივულოცო საქართველოს ყველა მშრომელთ ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, რომელიც დღეს ესოდენ საზეიმო ვითარებაში გადმოგცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა.

მომმე საქართველოს მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომის ნაყოფი ახარებს სომხეთის მშრომელებს.

ამიერკავკასიის ხალხებს საუკუნოვანი მეგობრობისა და ძმობის ურღვევი კავშირი აერთიანებს. სომეხი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობას და თანამშრომლობას მდიდარი და სახელოვანი ისტორია აქვს. ისინი ერთად იბრძოდნენ მრავალრიცხოვან გადამთიელ დამპყრობლებს, ერთიანან ძმურ მწყობრში იცავდნენ თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ჩვენი ორი ხალხის გამოჩენილი შვილები ილია ჭავჭავაძე, ხაჩატურ აბოვიანი, გაბრიელ სუნდუკიანი, აკაკი წერეთელი, ოვანეს თუმანიანი და ბევრი სხვა ამ მეგობრობის მგზნებარე ქომაგნი იყვნენ.

ამიერკავკასიის ხალხთა საუკუნოვანმა მეგობრობამ ახალი ძალა და მნიშვნელობა შეიძინა მათს ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე, დიდი ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საიმედო დაყრდენი და ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს არაერთხელ დაუსახელებია მშრომელთა ინტერნაციონალური ერთიანობის მაგალითად.

ხალხთა დიადი მეგობრობის მარადიულ სიმბოლოდ იქცა სტეფანე შაუმიანის, ალიოშა ჯაფარიძის, მეზადი აზიზბეკოვის, ივანე ფიოლეტოვისა და ბაქოს კომუნის სხვა ლეგენდარულ გმირთა სახელები, რომელთა უკვდავი გმირობა ხალხის ბედნიერებისათვის, ნათელი მომავლისათვის მებრძოლთა შთამაგონებელი მაგალითია.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში დიდი რუსი ხალხის მეთაურობით კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც განუხრელად იარონ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, ისინი მზად არიან მთელი თავიანთი ძალღონე და ენერგია მოახმარონ იმ დიადი ამოცანების განხორციელებას, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დასახა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს და ჰყვაოდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და საქართველოს კომუნისტური პარტია!

გაუმარჯოს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის ურღვევ ძმურ მეგობრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

(ამხ. ა. ე. ქოჩინიანის სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ტაში).

მეზვიდოზისა

და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის

უცხოეთის პრესის გამოსამაურება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის გამო

პრაღა. პრაღის რადიომ დიდმნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა თავის ცნობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ თბილისში რესპუბლიკის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას. ტელევიზიით უჩვენეს თბილისში ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლის ამსახველი დოკუმენტური კინოკადრები.

ნიუ-იორკი. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ თბილისში ცხოველი ინტერესი გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში. სიტყვის შინაარსი საინფორმაციო სააგენტოებმა გადასცეს ან „ელვა“. ეს ამბავი აუწყეს მსმენელთ თავიანთ უკანასკნელ ცნობათა გამოშვებებში რადიო და სატელევიზიო სადგურებმა.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა ლეონიდ ბრეჟნევმა მოიწვიდა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს დაიწყოს მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში ჯარებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ“, — ბაზგასმულია მოსკოვიდან მიღებულ დეპეშებში.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვა თბილისში ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იღვწის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე და შეიარაღებული ძალების შემცირებისათვის რაიონებში, სადაც შეიარაღებული ძალების პირისპირ დგომა განსაკუთრებით საშიშია, კერძოდ ევროპაში“, — წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

ამერიკის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას საქართველოს სს რესპუბლიკაში გამართულ ზეიმზე, მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობენ მის საგარეოპოლიტიკურ ნაწილს.

ტოკიო. იაპონიის დეპეშათა სააგენტოები, რადიო, ტელევიზია იუწყებიან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე. ტოკიოს რადიო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა კვლავ წამოაყენა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლის პროგრამა.

პარიზი. საფრანგეთის რადიომ და ტელევიზიამ თავიანთ უკანასკნელ ცნობათა გადაცემებში გააშუქეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ყოფნა თბილისში და მისი სიტყვა საზეიმო სხდომაზე. მოსკოვიდან მიღებულ დეპეშებში მოყვანილია სიტყვის ის ადგილები, სადაც დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდებენ დაიწყონ მოლაპარაკება ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების საკითხზე საბჭოთა კავშირის წინადადებების შესაბამისად. ხაზს უსვამენ აგრეთვე ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა უზრუნველყოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა.

ბონი. „ეს სიტყვა ნამდვილ ბრძოლის ფანდია“, — ასეთია სათაური ბონელ „ნეუე ფოლიტიკაში“ — „ბერლინერ ცაიტუნგი“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ თბილისში საზეიმო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის შინაარსს. გაზეთები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს სიტყვის იმ ადგილს, სადაც აღნიშნულია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობასა და მის გადაწყვეტილებებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები აგრეთვე მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობენ სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი არ დაიშურებს ძალ-ღონეს სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის, თანამიმდევრულად იბრძოლებს მშვიდობისა და უშიშროებისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული ბლიკების წინააღმდეგ.



ამხ. ბ. ულუბალიევის სიტყვა

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, ყველა მშრომელის სახელით ტაჯიკეთ სსრ-ისა, ამ ზეიმზე ამ ბრძოლა ... ლენინ ... ეროვნ ... ...

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

ამხ. მ. გაპუროვის სიტყვა

თურქმენეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიხმარეთ ამ სასიხარულო, ღირსშესანიშნავ დღეს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულის დღეს მხურვალედ მოგესალმოთ და მოგილოცოთ ძვირფას ქართველ ძმებსა და დებს თურქმენი ხალხის, კომუნისტების, თურქმენეთის ყველა მშრომელთა სახელით.

გულითადად გილოცავთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაჯილდოებას ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევმა გადმოგცათ.

ეს არის არა მარტო ქართველი ხალხის დიდი დღესასწაული, არამედ ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ყველა მომმე ხალხის ზეიმიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის ღრმამნიაარსიანი სიტყვა და მისი მონაწილეობა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის დღესასწაულში გვახარებს ყველას. ეს არის იმის მკაფიო გამოხატულება, რომ ლენინური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს მოკავშირე რესპუბლიკების აყვავებისათვის.

დიდი მანძილი აშორებს შესანიშნავ საქართველოს ჭაღარა კაპიტანაგან, კოპეტ-დაღის მთებისაგან, ყარაყუმისა და დიდებული ამუდარიისაგან, მაგრამ ხალხთა ეულწრფელი ლენინური მეგობრობისათვის — ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მონაპოვრისათვის საზღვრები არ არსებობს.

ყოველთვის მადლიერებით ვიგონებთ, რომ ჩვენს თურქმენეთის მიწაწყალზე ეწეოდნენ დიდ რევოლუციურ მუშაობას, იბრძოდნენ და თურქმენეთში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის სიცოცხლე გასწირეს თელიამ, ბაქრაძემ და ქართველი ხალხის სხვა სახელოვანმა შვილებმა.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ამიერკავკასიის მიწაწყალზე თქვენი გულადი მეომრების მხარდამხარ, სხვა საბჭოთა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად იბრძოდნენ თურქმენი ხალხის შვილებიც.

ამჟამად ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო მტკიცდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ერთობლივ შრომაში.

მსოფლიოს უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობის ყარაყუმის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის არხის მშენებლობაზე ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხებთან ერთად თავდადებით შრომობენ ქართველი ხალხის წარმომადგენლებიც. ქართველი მანქანათმშენებლების მიერ შექმნილ შესანიშნავ ტექნიკას ფართოდ ვიყენებთ არხის მშენებლობაზე, ისევე როგორც ჩვენი რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში.

განუხრელად ვითარდება და მტკიცდება ჩვენი მომმე რესპუბლიკების კულტურული ურთიერთობა. შოთა რუსთაველის, ჭავჭავაძის, ქიაჩელის, გულიასა და საქართველოს სხვა ნიჭიერი პროზაიკოსების, პოეტებისა და დრამატურგების ნაწარმოებნი ითარგმნა თურქმენულ ენაზე და ფართო პოპულარობით სარგებლობენ თურქმენ მკითხველებში.

50 წლის მანძილზე ქართველმა ერმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, არნახულ პროგრესს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

ახლა საქართველოს სს რესპუბლიკა არის მხარე, რომელსაც აქვს მაღალგანვითარებული თანამედროვე ინდუსტრია და მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ რაიონს.

თქვენი რესპუბლიკის უდიდესი მიღწევები დამაჯერებლად მოწმობენ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

ჩვენ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, გულწრფელად გვახარებს ეს და სულითა და გულით ვადიდებთ ნიჭიერ და შრომისმოყვარე ქართველ ხალხს.

ძვირფასო ამხანაგებო! ქართველი ხალხის დიდი და სასიხარული დღესასწაული მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს, როცა მრავალეროვანმა საბჭოთა ხალხმა გაშალა გიგანტური შემოქმედებითი მუშაობა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

სიხარულით მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, რომ თურქმენეთის მშრომელებსაც თავდადებული შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელებაში.

ამჟამად სულ უფრო ფართოდ იშლება სოციალისტური შეჯიბრება ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, 1971 წლისათვის — ახალი მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ თურქმენეთის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ დიდი დღესასწაული და ახალი სახელოვანი გამარჯვებანი ვუსურვო საქართველოს მშრომელებს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ახალ დიდ გამარჯვებებს ვუსურვებთ საქართველოს კომუნისტურ პარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტს მუშაობაში სკკპ XXIV ყრილობის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს სახელოვან ქართველ ხალხს! დიდება მის მებრძოლ ავანგარდს — საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

დაე მარად ცოცხლობდეს ყველა საბჭოთა ხალხის ურღვევი ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ძალისა და ძლიერების წყარო!.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ბელადსა და ორგანიზატორს!

(ამხ. მ. გაპუროვის სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ტაში).

ამხ. ი. ბ. კებინის სიტყვა

ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო! ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, ესტონელი ხალხის სახელით მოგესალმოთ და მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით სამგზის ორდენოსანი საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა მშრომელთ სახელოვანი იუბილე — რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავი.

თქვენი იუბილე, ძვირფასო ამხანაგებო, ყველა საბჭოთა ხალხის დღესასწაული, დიდი ოქტომბრის საქმის, ლენინის იდეების, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების დღესასწაულია.

ჩვენ თქვენთან ერთად ვამაყობთ, რომ შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა საქართველოს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის ხელმძღვანელობით 50 წლის მანძილზე მოიპოვა უდიდესი წარმატებანი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენ დიდად ვაფასებთ ქართველ მშრომელთა დიდ წვლილს რევოლუციურ მოძრაობაში და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეში. თქვენი მხედრული გმირობითა და შრომითი საქმეებით შესანიშნავი ფურცლები ჩაწერეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ისტორიაში. ამიტომ თქვენი რესპუბლიკის დროშას ახლა ორ ლენინის ორდენთან ერთად ამშვენებს ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

გულითადად გილოცავთ ამ დამსახურებულ მაღალ ჯილდოს.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, ნახევრადფეოდალური განაპირა მხარიდან საქართველო ახლა იქცა მოწინავე ინდუსტრიის, განვითარებული სოფლის მეურნეობისა და მაღალი კულტურის მქონე რესპუბლიკად. იგი ბრწყინავს დიადი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების თანავარსკვლავედში.

დიდად ამაღლდა საბჭოთა საქართველოს ხალხის კულტურის დონე. ესტონეთის სს რესპუბლიკაში დიდი ინტერესით მოვალით მიმდინარე წლის ივნისში ხელოვნებისა და კულტურის შესანიშნავ მოღვაწეთა ჩამოსვლას.

ჩვენში დიდი აღფრთოვანებით მოელიან შესვედრებს საქართველოს სს რესპუბლიკის უძველეს და მარად ახალგაზრდა, დიდებულ და თავისთავად, ღირიკულ და ლამაზ ხელოვნებასთან, მიმდინარე წლის ნოემბერში კი ესტონეთის ხელოვნების მოღვაწენი აპირებენ თქვენთან ჩამოსვლას.

ნება მიბოძეთ ესტონეთის მშრომელთა სახელით მომმე ქართველ ხალხს გულწრფელად ვუსურვო ახალი წარმატებანი, გამარჯვებანი და მიღწევანი სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ახალი ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ნება მიბოძეთ მთელ ქართველ ხალხს ვუსურვო ბედნიერება და კეთილდღეობა.

გაუმარჯოს სამგზის ორდენოსან საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხებს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

(ამხ. ი. ბ. კებინის სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა ტაში).

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა 1971 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები მიანიჭა:

1. კუპრაძეს ვიქტორ დიმიტრის-ძეს (ხელმძღვანელს), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს;

გეგელიას თენგიზ გიორგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

გაშალეიშვილს მიხეილ ონოფრეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს;

ბურჭულაძეს თენგიზ ვლადიმერის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს —

1968 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიისათვის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“.

2. **ჩიქოვანის არნოლდ სტეფანეს-ძეს** (ხელმძღვანელს), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

ფერეთელს გიორგი ვასილის-ძეს, აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს;

თოფურიას ვარლაამ ტრიფონის-ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს;

ჰაბაშვილს მიხეილ ნიკოლოზის-ძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

ვაჩნაძეს სიმონ მიხეილის-ძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს;

კახაძეს ოტია ილარიონის-ძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს;

შარაძენიძეს თინათინ სიმონის ასულს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

მესხიშვილს მერი ვასილის ასულს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს;

ლომთათიძეს ძეთევან ბესარიონის ასულს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს;

მეგნოშაშვილს სტეფანე ბაბარაზის-ძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს;

გაჩეჩილაძეს პოლიევქტი ლუკას-ძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს;

გიგინეიშვილს ივანე მოსეს-ძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

ფოჩხუას ბიძინა ბესლენის-ძეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს —

1950-1964 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომისათვის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (I-VIII ტომები).

3. **მახალდიანს ვახტანგ ვასილის-ძეს,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგეს —

მონოგრაფიებისათვის: „კვლევა ავტოსატრაქტორო ძრავების დარგში“, 1961 წ.; „სამთო ავტომობილებისა და ტრაქტორების ძრავების შესახებ“, 1968 წ.; სახელმძღვანელოებისათვის: „ტრაქტორისა და ავტომობილის ძრავები“, 1964 წ.; „ტრაქტორისა და ავტომობილის ძრავების თეორია და გაანგარიშება“, 1968 წ.;

4. **ძოგულიას გიორგი სამსონის-ძეს** (ხელმძღვანელს) საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრს;

სულაძეს იპოლიტე დავითის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს წყალსამეურნეო მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერის მოადგილეს;

ღამბაშიძეს ზურაბ დიმიტრის-ძეს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს წყალსამეურნეო მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის დირექტორს;

დანელიას ნიკოლოზ თევდორეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრავლიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობათა კათედრის გამგეს;

გიორგაძეს შალვა ვლადიმერის-ძეს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის „წყალშენის“ მმართველს;

ჩიჯავაძეს გრიგოლ იასონის-ძეს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნის დირექტორს;

აგაბაბოვს ედუარდ არტაშის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საქართველოს წყალსამეურნეო მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის განყოფილების უფროსს —

ნაშრომისათვის „სარწყავი სისტემების მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია საქართველოს სს რესპუბლიკაში“ (1959-1970 წლები);

5. **ჯაფარიძეს ალექსი ნიკოლოზის-ძეს,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

დავითაია თეოფანე ფარნას-ძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გიორგაშვილის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს;

ასლანიკაშვილს ალბერტ ალექსანდრეს-ძეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

გველესიანს გიორგი გრიგოლის-ძეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

ჯაოშვილს ვახტანგ შალვას-ძეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს;

ვლადიმიროვს ლევ ალექსანდრეს-ძეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს;

კორძაიას მიტროფანე ოტიას-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს —

1964 წელს გამოქვეყნებული ნაშრომისათვის „საქართველოს სსრ ატლასი“. (საქდესი).

სურათზე: თეატრალიზებული წარმოდგენის მონაწილენი რუსთაველის პროსპექტზე.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

თბილისის ცისფერ ეკრანზე

მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მშრომელებმა ედიდესი ყურადღებით მოისმინეს 14 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

პირდაპირი გადაცემა თბილისიდან მოაწყვეს საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა ტელევიზიამ და რადიოსადგურებმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა გადაიცა ევროვიზიის“ სისტემით. (საქდესი).

მიფრინავს „სალუტი“

„სალუტ“ სამეცნიერო სადგურმა 425-ჯერ შემოუფრინა დედამიწას

ფრენის მართვის ცენტრი, 15 მაისი. (საქდესი). „სალუტ“ ორბიტულმა სამეცნიერო სადგურმა, რომელიც ამა წლის 19 აპრილიდან დედამიწისირგვლივ ორბიტაზეა, 15 მაისის 13 საათისათვის 425-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. ამ მომენტისათვის სადგურის ორბიტის პარამეტრები შეადგენდა:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 260 კილომეტრს;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 242 კილომეტრს;

— ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსს;

— მიმოქცევის პერიოდი — 89 წუთს.

სადგურიდან კავშირის სეანსების დროს მიღებული ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, კოსმოსური ობიექტის ყველა სისტემა და აგრეგატი კარგ მდგომარეობაშია. ტემპერატურა და წნევა სამეცნიერო აპარატურის ნაკვეთურში ნორმალურია.

სადგურთან დამყარებულია მტკიცე რადიოკავშირი. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს სადგურიდან მიღებულ ინფორმაციას.

სპორტის ამბები

● 14 და 15 მაისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. დონის როსტოვის სკა-მ საკუთარ მოედანზე დაამარცხა ტაშკენტის „პახტაკორი“ 4:2, ცსკა-მ — დონეცკის „შახტიორი“ 1:0, ბაქოს „ნეფტჩი“ — მოსკოვის „სპარტაკი“ 5:3, ხოლო ერევნის „არარატისა“ და მინსკის „დინამოს“ მატჩში აღინიშნა ფრე — 1:1.

● ბრძოლებმა პრეტენდენტთა მატჩები ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე. გუშინ მოსკოვში გელერისა და კორჩნოის მეორე პარტია ყაიმით დამთავრდა. წინ არის კორჩნოი 1,5:0,5. პეტროსიანმა ორივე პარტია პეუბნერთან ყაიმით დაამთავრა, ანგარიშია 1:1. ლარსენს ულმანთან მატჩი მიჰყავს 1:0, დღეს დაიწყება ტბილისელისა და ფიშერის მატჩი. პირველ პარტიაში თეორიით თამაშობს ტბილისელი.

● ᲝᲣᲜᲘᲚᲐᲕᲘᲡᲘ ქალაქ ოხრიდში მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის საშინაობაშორისო ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის. გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ალექსანდრიამ მოუგო კონსპლიოას, ეკატერინა ქალა ანგარიშს ერთ ქულას აქვს და განაგრძობს ლიდერობას.

● ᲑᲣᲜᲔᲡ ბრიუსელში შეიგო ფეხბურთის თასზე სსრ კავშირისა და ბელგიის ნაკრები. გუნდების შეხვედრა ჩოგბურთში წყვილთა შორის. მეტრეველმა და ლიხაჩოვმა დაამარცხეს მასპინძლები 7:5, 4:6, 13:11, 6:3. საერთო ანგარიშია 2:1 საბჭოთა ჩოგბურთელების სასარგებლოდ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

16 მაისი

პირველი პროგრამით

09.15 — ახალი ამბები, 09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — „საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია“, 10.30 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ (გადმოცემა ლვოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ცეროდენა რაინდები“, 13.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია მათემატიკაში, 13.30 — ლექცია ქიმიაში, 14.35 — კონცერტი ბავშვებისათვის, 15.10 — გადაცემა — „ჩემი სოფელი ჭრებალო“, 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.15 — ევროპის ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში (გადმოცემა მადრიდიდან), 18.00 — ახალგაზრდული სახეიმო კონცერტი, 18.50 — „საბჭოთა საქართველო-50“. „თეატრი იუბილეს“, 19.30 — კინომოგზაურთა კლუბი. (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოალმანახი საქართველოს მთასა და ბარში“, 21.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.20 — მხატვრული ფილმი — „ერთი ცის ქვეშ“, 23.35 — საესტრადო კონცერტი (გადაცემა ცენტრალური ტელევიზიისათვის).

მეორე პროგრამით

19.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტეკონომიაში.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

16 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დღისით), გორდა (საღამოს); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზიანი ღამე (დღისით და საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხსოვნა გულისა (დღისით), ძველი გოდეგელები (საღამოს); გრიბოედოვის სახელობის — კომანდორის ნაბიჯები, (პრემიერა). ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ზევით ასწიეთ მზე (დღისით), მეცხრე ტალღა (საღამოს).

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში

გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ერთობლივ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად 1971 წლის 12-დან 15 მაისამდე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (ქ. ბერლინი) გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ა. ი. ეიკუბოვსკის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს სხდომა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა არმიების ხელმძღვანელი შემადგენლობის თათბირი.

სხდომისა და თათბირის მსვლელობაში განიხილეს ოპერატიული და საბრძოლო მომზადების მდგომარეობის მიმდინარე საკითხები, აგრეთვე გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი გაძლიერების ზოგიერთი საკითხი.

ყველა საკითხის განხილვამ მეგობრულ ვითარებაში და ყველა მოსაწვეულის ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

სამხედრო საბჭოს წევრები და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა არმიების ხელმძღვანელი შემადგენლობა დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სახალხო არმიის ნაწილების წვრთნას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 15. სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აქ პრესრელიზად გაავრცელა შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის გამო თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე.

პრეზიდენტ სადათის გამოსვლა

კაირო, 14 მაისი. (საქდესი). დღეს კაიროს რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ანვარ სადათი. მისი გამოსვლა მიეძღვნა ქვეყნის შინაპოლიტიკურ მდგომარეობას.

როცა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში უკანასკნელ დროს მომხდარი ცვლილებების მიზეზებს შეეხო, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ არაბთა სოციალისტური კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეთა და რამდენიმე მინისტრის გადადგომა უწინარეს ყოვლისა გამოიწვია, მათმა ოპოზიციამ არაბული რესპუბლიკების ფედერაციის შექმნისადმი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ლიბიისა და სირიის შემადგენლობით.

ა. სადათმა წინადადება წამოაყენა მოიწვიოს ახალი არჩევნები არაბთა სოციალისტურ კავშირში.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალი მთავრობა

კაირო, 15 მაისი. (საქდესი). როგორც მენის სააგენტო იუწყება, აქ გამოქვეყნდა პრეზიდენტ ა. სადათის დეკრეტი, რომ შეიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალი მთავრობა, პრემიერ-მინისტრ მაჰმუდ ფაუზის მეთაურობით.

სტიქია გოგოქრობს

რომი. გრძელდება ეტნის ვულკანის ამოფრქვევა, რაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაში. ვულკანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე წუთში 6-7 მეტრი სიჩქარით მოედინება გავარვარებული ლავის ნაკადი, რომელმაც თითქმის ხუთი კილომეტრით წაიწია. ლავამ გადაჭრა ფერდობზე გაყვანილი გზატკეცილი და ახლა სოფელ ფორნაცას ემუქრება. ამოფრქვევამ გამოიწვია ტურისტების მოზღვავება, რომლებიც ცნობისმოყვარეობის გამო წინდაუხედავად ყოველი მხრიდან ადიან ვულკანზე, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მცველთა გაფრთხილებას.

ანკარა, 14 მაისი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, დიდი ძალის მიწისძვრა ბიძგმა შეარყია მთიანი რაიონი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში. სტამბოლის ხელისუფლებამ სადგურამ ამ რაიონში აღნიშნა 8 ბალიანი მიწისძვრა. განსაკუთრებით დაზარალდა ქალაქ ბურდური.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების—99-55-01, ინფორმაციის—93-16-90, სატირისა და ფელეტონის—99,60-21, უცხოეთის—93-95-97, წერილების—99-73-24, ილუსტრაციის—93-28-51.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲡᲐ 04648

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.